საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01- 02/266

ქ. ბათუმი 11 ნოემბერი, 2022 წელი

ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის, ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის პირველი პუქტის ,,ე'' ქვეპუნქტის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების, ,,ბსუ-ს სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების (კორპუსების) ნუმერაციის შესახებ'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 15 სექტემბრის N01-10/77 ბრძანების, ,,ბსუ-ს საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 12 ოქტომბრის N01-02/238 ბრძანების და ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ედიშერ ჩავლეიშვილის 2022 წლის 20 ოქტომბრის MES 8 22 0001331272 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა, წინამდებარე ბრძანების N1 დანართის შესაბამისად,
2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევით ინტიტუტებს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„დამტკიცებულია“

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 11 ნოემბრის

№01-02/266 ბრძანებით (N1 დანართი)

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „ბსუ" ან „უნივერსიტეტი") **შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა** (შემდეგში - პოლიტიკის დოკუმენტი) წარმოადგენს შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის საფუძველს, რომელიც გამოხატავს ზოგად ხედვასა და მიდგომებს შრომის უსაფრთხოების მიმართულებით.

წინამდებარე დოკუმენტი შედგენილია საქართველოს ორგანული კანონის „შრომის უსაფრთხოების შესახებ" მოთხოვნათა შესაბამისად.

ბსუ-ში შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელება წარმოებს **ბსუ-ს მართვის ორგანოების (რექტორი/ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, შემდეგში - ხელმძღვანელობა)** და დასაქმებული პერსონალის მიერ. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მმართველი რგოლი და დასაქმებული პერსონალი ერთიანდება ჯანსაღი სამუშაო გარემოს მიღწევის მიზნით.

ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა აგებულია პასუხისმგებლობათა გადანაწილების პრინციპზე. თითოეული რგოლი ჩართულია შრომის უსაფრთხოების კულტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში.

უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად ბსუ-ს ხელმძღვანელობა ღებს პასუხისმგებლობას შრომის უსაფრთხოების ეფექტურ მმართველობაზე, ამარაგებს ბსუ-ს ყველა დასაქმებულს სრული ტექნიკური აღჭურვილობით, თავის მხრივ დასაქმებული აცნობიერებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს და მზადყოფნას გამოთქვამს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში სრულ ჩართვაზე.

ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა დაფუძნებულია სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობაზე. **ბსუ**

უზრუნველყოფს უსაფრთხოების სისტემის გამართულ ფუნქციონირებას და აწესებს მკაცრ კონტროლს ჯეროვან შესრულებაზე.

ბსუ იღებს ვალდებულებას გამოიყენოს საჭირო რესურსი შრომის უსაფრთხოების სამართლებრივი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

უნივერსიტეტი იღებს პასუხისმგებლობას შრომის უსაფრთხოების დაცვის მარეგულირებელი ნორმების, ეროვნული თუ საწარმოო წესების შესრულების მიზნით აწარმოოს შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვა, რომლის კომპონენტებია: წინამდებარე პოლიტიკა, ორგანიზება, დაგეგმვა, დანერგვა, შეფასება და სრულყოფის ღონისძიებები.

შრომის უსაფრთხოების სისტემა

ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების სისტემა დაფუძნებულია შემდეგ 3 კომპონენტზე:

- **დასაქმებულთა ჯანმრთელობა;**
- **პროფესიული უსაფრთხოება;**
- **შრომის ჯანსაღი პირობები.**

ბსუ-ში შრომის უსაფრთხოების სისტემა დაინერგა შემდეგი მიზეზების გამო:

- **მორალური** - უნივერსიტეტის მორალური პასუხისმგებლობაა უზრუნველყოს დასაქმებულთა, კონტრაქტორთა, ვიზიტორთა, სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება, ვინაიდან ფიზიკური და გონებრივი სამუშაოების უსაფრთხოდ შესრულების პირობებში მაღალია დასაქმებულთა პროდუქტიულობა და შესრულებული სამუშაოს ხარისხი;

- **სამართლებრივი** - სახელმწიფოში არსებობს მკაცრად დადგენილი კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავენ უსაფრთხოებას სამუშაო ადგილებზე. რეგულაციების შეუსრულებლობა იწვევს მკაცრ სანქცირებას და უნივერსიტეტს მიაყენებს დიდ ფინანსურ და რეპუტაციულ ზიანს.

- . **ფინანსური** - შრომის უსაფრთხოების სისტემა უნივერსიტეტს შეუმსუბუქებს და თავიდან აარიდებს შესაძლო უბედურ შემთხვევებთან და პროფესიულ დაავადებებთან დაკავშირებულ ხარჯებს. შრომის უსაფრთხოების წესების დაუცველობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს უნივერსიტეტს, ასევე შესაძლოა გამოიწვიოს უნივერსიტეტის საქმიანობისა და პარტნიორ ორგანიზაციებთან საქმიანი რეპუტაციის შელახვა.

ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების კულტურის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანია დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება და უსაფრთხოდ შრომის წესების/რეგულაციების გააზრება.

ბსუ-ს ვალდებულება უზრუნველყოს პრევენციული ღონისძიებები არ გამორიცხავს ან არ ეწინააღმდეგება დასაქმებულთა ვალდებულებას შეასრულონ სამუშაო უსაფრთხოდ.

ბსუ-ს ყველა დასაქმებული ერთად ქმნის შრომის უსაფრთხო და ჯანსაღ პირობებს.

ზოგადი დებულებები (მოთხოვნები)

ბსუ-ს შენობა-ნაგებობები უზრუნველყოფილია შესაბამისი ტიპის და საჭირო რაოდენობის ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით (ცეცხლმაქრებით) და სახანძრო სიგნალიზაციით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ბსუ-ს მოქმედებს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული ,,ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქცია".

ბსუ-ში რექტორის ბრძანებით შექმნილია **საგანგებო შტაბი,** რომელიც წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათზე მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების მაკოორდინირებელ და გადაწყვეტილების მიმღებ ჯგუფს. საგანგებო შტაბის უფროსი და მისი თანაშემწეები გეგმის შესაბამისად კოორდინაციას უწევენ რეაგირების ძალებსა და საშუალებებს.

ბსუ-ს სარგებლობაში არსებულ ტერიტორიაზე და შენობებში (კორპუსებში), ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან ბსუ-ს სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე თანამდებობის პირები და შრომითი ხელშეკრულებით მოწვეული პერსონალი: არასაშტატო პოზიციებზე დასაქმებული დამხმარე პერსონალი, მასწავლებლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები) დაცვის ეფექტურად განხორციელების, სასწავლო და სამუშაო გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებულია **ბსუ-ს საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც** უზრუნველყოფს შესაძლო საგანგებო სიტუაციაზე მზადყოფნის, პრევენციის, რეაგირებისა და აღდგენითი ღონისძიებების ჩატარებას. აღნიშნული გეგმა შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

პირველადი დახმარება

უნივერსიტეტი აცნობიერებს შესაძლო რისკებს სამუშაო პროცესში, რის საფუძველზეც უნივერსიტეტის სივრცეში ხელმისაწვდომია სამედიცინო დახმარების პუნქტი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის საშუალებებით და დაკომპლექტებულია კვალიფიციური დასაქმებულით (პერსონალით).

უნივერსიტეტში პირველადი სამედიცინო დახმარება (საჭიროების შემთხვევაში) ხორციელდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული ,,პირველადი სამედიცინო დახმარების ინსტრუქციის" შესაბამისად.

პასუხისმგებლობა

უნივერსიტეტი (დამსაქმებელი) ვალდებულებას იღებს:

ა) დაიცვას შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმები და წესები;

ბ) იზრუნოს, რომ დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას ზიანი არ მიადგეს, მათ შორის უზრუნველყოს, რომ შესაძლო ფიზიკურმა, ქიმიურმა და ბიოლოგიურმა საფრთხის შემცველმა ფაქტორებმა დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას საშიშროება არ შეუქმნას;

გ) აღრიცხოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევები (ასეთის არსებობისას), შესაძლო პროფესიული დაავადებების შემთხვევები და მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს დასაქმებულს ან/და დასაქმებულთა წარმომადგენელს;

დ) გააფრთხილოს სხვა პირები, რომლებიც უნივერსიტეტის ტერიტორიაზე იმყოფებიან, შესაძლო საფრთხის შემცველი სამუშაო პროცესებისგან იყვნენ იზოლირებულად, საჭიროებისას სპეციფიკური სამუშაოს შესრულებისას დასაქმებული აღჭურვოს შესაბამისი დაცვის საშუალებებით;

ე) გასწიოს სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოებასთან და სანიტარიულ-ჰიგიენურ ღონისძიებებთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯი;

ვ) აწარმოოს სამუშაო პროცესიდან გამომდინარე საფრთხეების იდენტიფიცირება, რისკების შეფასება, განახორციელოს მუდმივი კონტროლი;

ზ) პერსონალის შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების შექმნის მიზნით უზრუნველყოს პერსონალის სწავლების ორგანიზება და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების გაცნობა.

ბსუ-ში შრომის უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებლობა განაწილებულია შემდეგნაირად:

აქტივობა	ბსუ-ს ხელმძღვანელობა	**დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახური** (შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი)	**ბსუ-ს ყველა სტრუქტურული ერთეული**	**ბსუ-ს პერსონალი**
ინფორმაციის შეგროვება არსებული რისკების შესახებ		სავალდებულო	სავალდებულო	მონაწილეობა
საფრთხეების იდენტიფიცირება		სავალდებულო	სავალდებულო	მონაწილეობა
რისკების შეფასება		სავალდებულო	სავალდებულო	
რისკების საკონტროლო/ შემცირების ღონისძიებების დაგეგმვა/დამტკიცება/განხორციელება	**სავალდებულო** (შრომის უსაფრთხოების სამსახურის/სპეციალისტის მიერ ღონისძიებების გეგმის დამტკიცება და განხორციელების კოორდინირება)	**სავალდებულო** (შრომის უსაფრთხოების სამსახურის/სპეციალისტის მიერ ღონისძიებების გეგმის მომზადება)	**სავალდებულო** (შრომის უსაფრთხოების სამსახურის/სპეციალისტის მიერ მომზადებული ღონისძიებების გეგმის განხორციელება)	მონაწილეობა
რისკების შეფასების დოკუმენტირება		სავალდებულო	მონაწილეობა	
ინსტრუქტაჟების ჩატარების დაგეგმვა, დამტკიცება, ორგანიზება	სავალდებულო (შრომის უსაფრთხოების სამსახურის/სპეციალისტის მიერ მომზადებული გეგმის დამტკიცება და ორგანიზების კოორდინირება)	სავალდებულო (ინსტრუქტაჟის ჩატარების გეგმის მომზადება და დამტკიცების შემდეგ **ორგანიზება)**	მონაწილეობა	მონაწილეობა
ინსტრუქტაჟების ჩატარება		სავალდებულო	მონაწილეობა	მონაწილეობა

უსაფრთხოების წესების დაცვა სამუშაო ადგილებზე			სავალდებულო	სავალდებულო

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქციები და პასუხისმგებლობა

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მოვალეობაა რისკების მართვა, რაც მოიცავს: ინფორმაციის შეგროვებას; საფრთხეების იდენტიფიცირებას; რისკების შეფასებას; რისკების შემცირების ღონისძიებების დაგეგმვას; რისკების შეფასების დოკუმენტირებას. (იხ. რისკის შეფასების ინსტრუქცია - **დანართი №1**)

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ატარებს შესავალ, პირველად, განმეორებით და მიმდინარე ტრენინგს/ინსტრუქტაჟს დასაქმებულთათვის და სხვა პირებისთვის.

თითოეული სტრუქტურული ერთეული იძლევა კონსულტაციებს და განიხილავს წარმოების, მანქანა-დანადგარების, საწყობის, დამხმარე სათავსოების და ტრანსპორტის უსაფრთხოების საკითხებს.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი პასუხისმგებელია:

ა) შესავალი ინსტრუქტაჟის დროულ ჩატარებაზე, ასევე სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟებისა და სწავლების ჩატარების კონტროლზე;

ბ) ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით ობიექტებზე სამუშაოების წარმოების შეწყვეტაზე და თუკი საფრთხე ემუქრება ადამიანის ჯანმრთელობას ან მსგავსი საჭიროების შემთხვევაში, სამუშაოს შეჩერებაზე, მათ შორის ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად (თუკი ვერ ხერხდება დაუყოვნებლივი კომუნიკაცია);

გ) შესაბამისი პერსონალის სპეც. ტანსაცმლით და სხვა აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით დროული მომარაგების კონტროლზე;

დ) თითოეული რისკის შეფასების დოკუმენტირებაზე (რისკების შეფასების **ფორმა №1-ს** მომზადება) და ხელმძღვანელობისთვის გადაგზავნაზე, შემდგომი კონტროლისა და რეაგირებისათვის (რისკების შეფასების N1 ფორმაში მითითებულ შესრულებაზე პასუხისმგებელ პირთან (პირებთან) გადასაგზავნად, რომელიც (რომლებიც) ვალდებულია მითითებულ დროში შეასრულოს რისკების შეფასების ფორმაში აღნიშნული სამუშაო/პროცედურა).

დასაქმებულების პასუხისმგებლობა

თითოეული დასაქმებული პასუხისმგებელია შემდეგზე:

ა) დაესწროს დამსაქმებლის მიერ ორგანიზებულ შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის შესახებ ტრენინგებსა და საინფორმაციო შეხვედრებს;

ბ) იხელმძღვანელოს შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინსტრუქციებით, სამართლებრივი ნორმებითა და სხვა წესებით და შეასრულოს დამსაქმებლის მიერ დადგენილი შინაგანაწესი და სამუშაო პირობები;

გ) ინდივიდუალური დაცვის საშუალებები გამოიყენოს ინსტრუქციების შესაბამისად, შეინახოს მუშა მდგომარეობაში და დააბრუნოს მათთვის განკუთვნილ ადგილზე;
დ) შეასრულოს სამუშაო, მართოს და გამოიყენოს სამუშაო ტექნიკა, მასალები, საშიში ნივთიერებები და სხვა საშუალებები, დამსაქმებლის ინსტრუქციებისა და მუშაობისას მიღებული ცოდნისა და კვალიფიკაციის შესაბამისად;
ე) მართოს სპეციალური წესების მიხედვით განსაზღვრული, მომეტებულ საფრთხესთან დაკავშირებული სამუშაო ტექნიკა/აღჭურვილობა და შეასრულოს სამუშაო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აკმაყოფილებს მისი ექსპლუატაციის მოთხოვნებს (აქვს ცოდნა/შესაბამისი მოწმობა) **და მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ სამუშაოს შესრულება მის ფუნქციებში შედის ან/და დამსაქმებელმა დაავალა;"**

ვ) დაიცვას უსაფრთხოების პროცედურები, **მათ შორის:**
ვ.1) დაემორჩილოს სამუშაო სივრცეში თამბაქოს მოხმარების შესახებ იმ აკრძალვებს, რაც დადგენილია ბსუ-ს შინაგანაწესით:
ვ.2) არ გამოცხადდეს სამუშაოზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში და სამუშაოს შესრულებისას არ მოიხმაროს ასეთი მდგომარეობის გამომწვევი ნივთიერებები.

ნარჩენების განთავსება და გარემოს დაცვა

ბსუ-ს **გარემოს დაცვის პოლიტიკაა: „არ მივაყენოთ ზიანი გარემოს"**. ამ მიზნით უნივერსიტეტი ზრუნავს ნარჩენების რაოდენობის შემცირებაზე, იცავს და ემორჩილება „ნარჩენების მართვის კოდექსს" და საქართველოში მოქმედ სხვა რეგულაციებს.

ბსუ-ს ტერიტორიაზე უსაფრთხოების შესაბამისი სამართლებრივი მოთხოვნების თანახმად, უნივერსიტეტი მოწოდებულია უზრუნველყოს ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო/პირობები ყველა დასაქმებულისათვის, **სტუდენტებისთვის, პროფესიული სტუდენტებისთვის,** კონტრაქტორისათვის, ვიზიტორისთვის და იხელმძღვანელოს ამ მიმართულებით მოწინავე პრაქტიკით, რათა განახორციელოს და დაიცვას შრომის უსაფრთხოების არსებული სტანდარტები. ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის წინამდებარე დოკუმენტის მიზანია იმ ძირითადი მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების ზოგადი პრინციპების განსაზღვრა, რომელიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების არსებულ და მოსალოდნელ საკითხებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, დასაქმებულთა სწავლებას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებას და კონსულტაციის გაწევას.

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 11 ნოემბრის №01-02/266 ბრძანების N1 დანართის - ,,ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის“

დანართი №1

რისკის შეფასების ინსტრუქცია

1. **ინფორმაციის შეგროვება**

1.1. <u>ცალკეული სამუშაოების შრომის უსაფრთხოების რისკების შეფასებისთვის აუცილებელია ცოდნა:</u>

ა) სად მდებარეობს სამუშაო უბანი;

ბ) ვინ მუშაობს სამუშაო უბანზე - განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მას, ვისთვისაც საფრთხე ჩვეულებრივზე უფრო მაღალი შეიძლება იყოს (მაგალითად: ფეხმძიმე ქალები, ახალგაზრდა ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დასაქმებულები). გასათვალისწინებელია ასევე დროებით მომუშავეები, ქვეკონტრაქტორები და ვიზიტორები (მათ შორის მძღოლები);

გ) რა ტიპის სამუშაო იარაღი, დანადგარი, მასალა ან პროცესი გამოიყენება;

დ) რა დავალება სრულდება (რა გზით და/ან რამდენ ხანს მიმდინარეობს ის);

ე) რა საფრთხეებია უკვე იდენტიფიცირებული და რა არის მათი წარმოშობის წყაროები;

ვ) რა არის არსებული საფრთხეების პოტენციური შედეგები;

ზ) რა ინციდენტები, **პროფესიული ან სხვა დაავადებები** იქნა გამოვლენილი (რეპორტირებული);

თ) სამუშაოსთან დაკავშირებული საკანონმდებლო და სხვა სახის რა მოთხოვნები არსებობს;

1.2. <u>ზემოხსენებული ინფორმაციის შეგროვებისთვის შეიძლება გამოყენებული იქნას შემდეგი წყაროები:</u>

ა) სამუშაოს შესრულებისას გამოყენებული იარაღის, მასალის, ნივთიერების ტექნიკური მონაცემები, ტექნიკური პასპორტი, სპეციფიკაცია და ა.შ;

ბ) ტექნოლოგიური პროცედურები და სამუშაო სახელმძღვანელოები;

გ) სამუშაო უბანზე მავნე და საშიში ფაქტორების გაზომვის შედეგები;

დ) ჩანაწერები ინციდენტებისა და პროფესიული დაავადებების შესახებ;

ე) ინფორმაციები ქიმიური ნივთიერებების თვისებების შესახებ;

ვ) საკანონმდებლო რეგულაციები და ტექნიკური სტანდარტები;

ზ) სამეცნიერო და ტექნიკური ლიტერატურა;

თ) საერთაშორისო სტანდარტები.

1.3. <u>ინფორმაცია ასევე შეიძლება შეგროვდეს შემდეგი წყაროებიდან:</u>

ა) სამუშაო გარემოს დაკვირვებით;

ბ) სამუშაო გარემოში დავალებების შესრულების დაკვირვებით;

გ) სამუშაო გარემოს გარეთ დავალებების შესრულების დაკვირვებით;

დ) თანამშრომელთა გამოკითხვით;

ე) გარე ფაქტორების დაკვირვებით, რომელთაც შეიძლება გავლენა ჰქონდეთ სამუშაო გარემოზე.

2. საფრთხეების იდენტიფიცირება

2.1. სამუშაო უბნებზე არსებული საფრთხეების შეფასებისთვის შეიძლება გამოყენებული იქნეს ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტები, ასევე თავად **ბსუ-ს** მიერ მომზადებული ჩეკლისტები და სხვა.

2.2. საფრთხის იდენტიფიცირებისთვის საჭიროა პასუხის გაცემა შემდეგ სამ კითხვაზე:

- ეს საფრთხე შეიძლება იქცეს დაზიანების წყაროდ?
- ვინ და როგორ დაშავდება ამ საფრთხით?
- რა შემთხვევაში ექნება დაშავებას ადგილი?

3. რისკების შეფასება

3.1. თითოეული იდენტიფიცირებული საფრთხით გამოწვეული შესაძლო ზიანის კრიტერიუმების: ალბათობისა და შედეგის სიმძიმის გათვალისწინებით ხდება რისკის დონის (დაბალი, საშუალო, მაღალი) დადგენა.

3.2. რისკის ალბათობა და შედეგის სიმძიმე ფასდება 1 - დან 5 - მდე.

3.2.1. ალბათობა:

ა) ძალიან ნაკლებად სავარაუდო -1;

ბ) ნაკლებად სავარაუდო -2;

გ) შესაძლო -3;

დ) სავარაუდო -4;

ე) მაღალი ალბათობა -5;

3.2.2. შედეგის სიმძიმე:

ა) უმნიშვნელო ტრავმა - მსუბუქი დაზიანება შრომისუნარიანობის დაკარგვის გარეშე -1;

ბ) ტრავმა, რომელიც საჭიროებს პირველად სამედიცინო დახმარებას - შრომისუნარიანობის დაკარგვით არაუმეტეს 3 დღისა -2;

გ) დაკარგული სამუშაო დროის გამომწვევი ტრავმა - შრომისუნარიანობის დაკარგვით 3 დღიდან 40 დღემდე -3;

დ) ტრავმა, რომელიც საჭიროებს სტაციონარულ მკურნალობას - მუდმივი შრომისუუნარობის განვითარება ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან/და დროებითი შრომისუუნარობის განვითარება 40 კალენდარულ დღეზე მეტი ხნით -4;

ე) ქმედითუნარიანობის შემზღუდველი ტრავმა (ფატალური შედეგი) - სამუშაო ადგილზე ან უბედური შემთხვევიდან 1 წლის განმავლობაში გარდაცვალება -5;

4. რისკის შემცირების ღონისძიებების დაგეგმვა

4.1. თუ რისკი არის მაღალი და შეფასებულია როგორც მიუღებელი, მისი შემცირების, ან პრევენციის ღონისძიებები დაუყოვნებლივ უნდა გატარდეს;

4.2. თუ რისკი არის საშუალო და შეფასებულია როგორც მისაღები, რეკომენდირებულია ღონისძიებების დაგეგმვა მისი დონის შესამცირებლად.

4.3. თუ რისკი არის დაბალი და შეფასებულია როგორც მისაღები, საჭიროა იმის უზრუნველყოფა, რომ იგი მუდმივად დარჩეს იმ დონეზე.

4.4. პრევენციული და დამცავი ღონისძიებები უნდა გატარდეს პრიორიტეტების თანმიმდევრობით:

4.4.1. შეამცირეთ მისაღებ დონემდე, ან პრევენცია გაუკეთეთ საფრთხეს/რისკს

4.4.2. ორგანიზაციული ღონისძიებების მეშვეობით მინიმუმამდე დაიყვანეთ საფრთხე/რისკი;

4.4.3. კოლექტიური დამცავი ღონისძიებების მეშვეობით მინიმუმამდე დაიყვანეთ საფრთხე/რისკი;

4.4.4. სათანადო ინდივიდუალური დაცვის საშულებების მეშვეობით შეამცირეთ რისკი.

5. რისკის კონტროლის ღონისძიებებია:

ა) საფრთხის აღმოფხვრა;
ბ) საფრთხის შემცირება;
გ) საფრთხესთან დასაქმებულების და სხვა პირების კონტაქტის პრევენცია;
დ) შრომის უსაფრთხო სისტემა;
ე) ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

6. რისკების შეფასების დოკუმენტირება

რისკების შეფასების დოკუმენტირება ხორციელდება რისკის შეფასების ფორმის გამოყენებით ცალკეული სამუშაო ადგილისათვის და/ან მთლიანად წარმოებისთვის. რისკის შეფასების ფორმა მოიცავს საბაზისო ინფორმაციას :

ა) უნივერსიტეტის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი;
ბ) სამუშაო ადგილის დასახელება;
გ) საფრთხე, რისკი, ალბათობა, შედეგი;
დ) პოტენციური მსხვერპლი;
ე) არსებული საკონტროლო ზომები და დამატებითი უსაფრთხოების ღონისძიებების საჭიროება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ვ) შეფასების განმახორციელებელი პირ(ებ)ი;
ზ) მოქმედების და განხორციელების თარიღი.

რისკების შეფასების დოკუმენტი გადაიხედება პერიოდულად, საჭიროებისამებრ და მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელების შესაბამისად.

რისკის შეფასების ფორმა №1

შემფასებლის სახელი და გვარი:		თარიღი:	
სამუშაო ობიექტის დასახელება:		დრო:	
სამუშაოს მოკლე აღწერა:			

საფრთხის იდენტიფიცირება	ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალა	პირთა წრე	დაშავების/დაზიანების ტიპი	არსებული კონტროლის ზომები	საწყისი რისკი			დამატებითი კონტროლის ზომები	ნარჩენი რისკი			გასატარებელი ზომები/რეაგირება	შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/ვადა	გადახედვის სავარაუდო თარიღი
					„ა“	„შ“	„რ“ (ა×შ)		„ა“	„შ“	„რ“ (ა×შ)			

„ა“ – ალბათობა „შ“ – შედეგი (სიმძიმე) „რ“ – რეიტინგი

ალბათობა / Likelihood (L)	ალბათობის ქულა
დიდი ალბათობა	5
სავარაუდო	4
შესაძლებელი	3
ნაკლებად სავარაუდო	2
იშვიათი	1

პოტენციური შედეგის სერიოზულობა (S)	პოტენციური შედეგის ქულა
ფატალური	5
მძიმე	4
საშუალო სიმძიმე	3
ნაკლებადმნიშვნელოვანი	2
უმნიშვნელო	1

რისკის დონე
მაღალი H
საშუალო M
დაბალიL



რისკის შეფასების მატრიცა №1

შედეგი

5	10	15		
4	8	12	16	
3	6	9	12	15
2	4	6	8	10
1	2	3	4	5

ალბათობა

რისკი = ალბათობა x შედეგი

ალბათობა

1= ძალიან საეჭვოა;

2 = საეჭვოა;

3 = შესაძლებელია;

4 = სავარაუდოა;

შედეგი

1= უმნიშვნელო – დაზიანების გარეშე;

2= მცირე – დაზიანება საჭიროებს პირველად სამედიცინო დახმარებას;

3 = ზომიერი – დროებითი შრომისუუნარობა;

4= სერიოზული – სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობა;

5 = განსაზღვრული/კონკრეტული შრომისუუნარობა;

5= კატასტროფული – სიკვდილი ან მუდმივი შრომისუუნარობა;

შედეგი	**20-25**	5- 16	1-4
	კრიტიკული	არსებითი	არაარსებითი
საჭირო ღონისძიებები	*სამუშაო უნდა შეჩერდეს.* დაუყოვნებლივ უნდა იქნას მიღებული ზომები რისკის შესამცირებლად.	*საოპერაციო პროცედურები და სამუშაოს შესრულების მონიტორინგი.* შემუშავდეს რისკის შემცირების პროცედურები/ *დაიგეგმოს რისკის შემცირების საკონტროლო ღონისძიებები.* შეფასდეს პრიორიტეტები.	*სამუშაოს შესრულების მონიტორინგი.* პროცედურები არ არის მისაღები / *საოპერაციო პროცედურები და სამუშაოს შესრულების მონიტორინგი.* შემუშავდეს რისკის შემცირების პროცედურები.

რისკების კატეგორიები

სიმძიმის მიხედვით

მაღალი (H)	არსებითი შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება სავალდებულოა, მაგრამ დაუყოვნებლივ შეუძლებელია, და რომელიც მოცემულ მომენტში საშიშროებას არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, თუმცა მისი გამოუსწორებლობა ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას მნიშვნელოვან საფრთხესშე უქმნის; ღონისძიებების გატარება სავალდებულოა დაუყოვნებლივ, სამუშაოების შეჩერების გარეშე.
საშუალო (M)	არა არსებითი შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება შესაძლებელია ჩვეულებრივი სამუშაო პროცესის შეჩერების გარეშე და რომელიც ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას პირდაპირ საფრთხეს არ უქმნის. ღონისძიებების გატარება სავალდებულოა, მაგრამ არა დაუყოვნებლივ.
დაბალი (L)	მისაღები რისკი